დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ნადარეიშვილი

წევრები:

ნინო ბურჯანაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ვლადიმერ ბერუაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნონა ბეროშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკა ბარნაბიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230867096

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თეთრიწყარო (სოფელი ორბეთი)
ფაქტობრივი მისამართი	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ორბეთი
საფოსტო ინდექსი	2300
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/ - სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	orbeti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	სკოლას არაქვს ტელეფონის ნომერი

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 11 თებერვლის ბრძანება MES 3 26 0000150789
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	5 და 6 მარტი, 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების **ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	თეთრიწყაროს მინიციპალიტეტი, სოფელი ორბეთი 1 შენობა-ნაგებობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	თეთრიწყაროს მინიციპალიტეტი, სოფელი ორბეთი 1 შენობა-ნაგებობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	თეთრიწყაროს მინიციპალიტეტი, სოფელი ორბეთი 1 შენობა-ნაგებობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 5 და 6 მარტს - **სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლაში** განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით "განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შესაბამისობა.

ექსპერტების ჯგუფმა, ვიზიტის წარმართვისთვის, შეიმუშავა დღის წესრიგი. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა - ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძნობოდა კეთილგანწყობა. სკოლა დატვირთული რეჟიმით მუშაობს, სკოლა მოწესრიგებულია და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, თბილი, მზრუნველობითი, ერთმუჭად შეკრული სასკოლო საზოგადოების ერთობა, რაც სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.

ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს - სკოლის დირექტორს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, სპეციალურ მასწავლებელს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, ინტერვიუს პროცესში ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის ექსპერტი, მან ასევე განახორციელა I, II, III, IV კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების კურიკულუმების რევიზია, ხოლო შეფასების ეტაპზე ითანამშრომლა საგნობრივ ექსპერტებთან, მისი მოსაზრებები და რჩევები გათვალისწინებულია საგნობრივი ექსპერტების მიერ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების შეფასებისას.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები (Microsoft Teams-ის ელექტრონული პლატფორმის საშუალებით).

ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
-	-	-

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*ხარვეზი*

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
-	**-**	-

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე)	*ხარვეზი*
-	**-**	-

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
-	-	-
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.4.1.1.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული**	შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით, (2026 წლის მარტი - 2027 წლის მარტი), სკოლამ მოიპოვოს : 1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; 2. მიმართოს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; 3. მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	ამასთანავე: 4. უზრუნველყოს შენობის სარდაფის ჩასასვლელ კიბეზე დამცავი ზღუდის ან კარების მონტაჟი. 5. უზრუნველყოს სკოლის შენობის შიდა ტერიტორიაზე ვიდოესათვალთვალო კამერის შეძენა-მონტაჟი.
ინდიკატორი N 3.4.1.2.	**სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**	შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით, სკოლამ შეარჩიოს ექთნის პოზიციაზე კვალიფიცირებული კადრი და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება (2026 წლის მარტი- სექტემბერი).
ინდიკატორი N 3.5.1.4	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის მარტი - 2028 წლის მარტი) სკოლამ უზრუნველყოს, შენობის შიდა სივრცისთვის, მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის დამზადება და დამონტაჟება.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
-	-	-

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* (ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა საბაზო საფეხურზე)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის მარტი - 2027 წლის მარტი), სკოლამ უზრუნველყოს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღწურვილობის შეძენა და ლაბორატორიის მოწყობა.

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი* (ზოგად საგანმანათლებლო პროგრამა საშუალო საფეხურზე)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით,**	შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის მარტი - 2027 წლის მარტი), სკოლამ უზრუნველყოს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღწურვილობის შეძენა და ლაბორატორიის მოწყობა.

	მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.3.1.3.	სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა	**სკოლას მიეცა რჩევა** : სასურველია შექმნას ერთიანი შიდა რეგულაცია/დოკუმენტი, რომელიც გააერთიანებს და დეტალურად აღწერს საჩივრების მართვის პროცესს — მისი ინიცირებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (აღნიშნული პუნქტი იკითხება დისციპლუნირი კომიტეტის არსებობაში, შინაგანაწესსა და ხელშეკურლებებში).
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	**სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არსებობა და შესაბამისი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას.
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	**მიეცა რჩევა:** სასურველაი განაახლოს წიგნადი ფონდი მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად; აღჭურვოს ბიბლიოთეკა კომპიუტერით, შექმნას მიმზიდველი და მყურდო გარემო, რათა მოსწავლეებს გაუჩნდეთ ბიბლიოთეკაში მუშაობის სურვილი.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	დაწყებითი საფეხური	
ინდიკატორი N 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**უცხოური ენა:** სასურველია, უცხოური ენის საგნობრივ კურიკულუმებში იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალება, ვიდრე წარმოდგენილია ამ ეტაპზე. ამასთან, შესაბამის სვეტში გაიწეროს რელევანტური კონტექსტ-მაგალითები, როგორიცაა, მაგალითად, I და II კლასების ინგლისური ენის კურიკულუმებში შემოქმედებითი ტიპის დავალებებისთვის განსაზღვრული კონტექსტ-მაგალითები.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**ესთეტიკური აღზრდა**: სასურველია, **სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით**, გადაიხედოს IV კლასის ხელოვნების კურიკულუმი და საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს თემატური ბლოკების შესაბამისობა საფეხურის მოთხოვნებთან. • სასურველია, **სწავლების შედეგის უკეთ მიღწევისათვის**, კურიკულუმში უფრო მკაფიოდ განისაზღვროს ქვეცნებები, რომელთა დამუშავებასაც პედაგოგი გეგმავს თითოეულ თემატურ ბლოკში. • სასურველია, **კურიკულუმის თანმიმდევრულობისა და სრულყოფის მიზნით**, VI კლასის პროგრამაში უფრო თვალსაჩინოდ აისახოს თემატური ბლოკი „ხელოვნება ჩვენს გარშემო“.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**მათემატიკა.** • სასურველია, კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემების ჩამონათვალით და ამ თემებს მიუსადაგონ შესაბამისი საკითხების ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ სწავლებას და საკითხთა შორის კავშირის დამყარებას. • სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ გათვალისწინებული იყოს კლას-კომპლექტებში (2-4 და 1-3 კლასები) სწავლების თავისებურებები, როგორიცაა თემების შესაბამისობა, რესურსების თანხვედრა და ა. შ.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**დაწყებითი საფეხური.** სკოლაში არის კლას-კომპლექტები. 1-3 და 2-4 კლასებში. სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ გათვალისწინებული იყოს კლას-კომპლექტებში სწავლების თავისებურებები, როგორიცაა თემების შესაბამისობა,საკითხების და ა რესურსების თანხვედრა და სხვა.

ინდიკატორი N 2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	**დაწყებითი საფეხური.** სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ. რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ლინკები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.
ინდიკატორი N 2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშულო საფეხურის კურიკულიმში- (პროექტული სწავლება) გამოკვეთილი იყოს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები და შედეგები.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია კარგად დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,ჩანდეს ორიენტაცია კონკრეტული საფეხურის(დაწყებითი)ცნებებსა და ქვეცნებებზე.9ეხება მუსიკისა დახელოვნების კურიკულუმებს).
ინდიკატორი N 2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**სპორტი:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**დაწყებითი საფეხური:** შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ საგნობრივ სტანდარტებს და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**ზოგადი:** სასურველია „ვერიფიკაციის მექანიზმში“ დაკონკრეტდეს დოკუემნტის შენახვის შენახვის ზუსტი ვადა.
ინდიკატორი N 2.2.1.1.	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	**დაწყებითი საფეხური:** სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.

ინდიკატორი N 2.2.1.3.	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	**დაწყებითი საფეხური:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება (ყველა საგანი). შეიმუშაოს შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სწავლების მიზნებსა და თემატურ შინაარსს.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**უცხოური ენა:** სასურველია კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა დამატებითი სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს და სამუშაო რვეულის მითითებისას, სასურველია დაკონკრეტდეს გვერდები.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**ესთეტიკური აღზრდა**: სასურველია სასწავლო პროცესი გამრავალფეროვნდეს დამხმარე რესურსებით და დაკონკრეტდეს რაა წყაროზეა ორიენტაცია
ინდიკატორი N 2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**მათემატიკა:** ვიზუალურად უკეთ აღქმისთვის სასურველია, კურიკულუმში თითოეულ საკითხთან შესაბამისობაში იყოს მკაფიოდ მითითებული გამოყენებული ან დაგეგმილი სასწავლო რესურსები (მონიშვნის ან სხვა შესაბამისი ფორმის გამოყენებით).
ინდიკატორი N 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მასწავლებელმა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართოს ვიდეო და აუდიო მასალები, შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** საბაზო საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**უცხოური ენა:** სასურველია, უცხოური ენის საგნობრივ კურიკულუმებში იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალება, ვიდრე წარმოდგენილია ამ ეტაპზე. ამასთან, შესაბამის სვეტში გაიწეროს რელევანტური კონტექსტ-მაგალითები, როგორიცაა,

		მაგალითად, I და II კლასების ინგლისური ენის კურიკულუმებში შემოქმედებითი ტიპის დავალებებისთვის განსაზღვრული კონტექსტ-მაგალითები.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**ესთეტიკური აღზრდა**: • სასურველია, **სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის გასაძლიერებლად**, IX კლასის ხელოვნების კურიკულუმში განისაზღვროს თემატური ბლოკი „ადამიანი ხელოვნებაში“.
ინდიკატორი N 2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშულო საფეხურის კურიკულიმში - (პროექტული სწავლება) გამოკვეთილი იყოს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები და შედეგები.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია კარგად დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,ჩანდეს ორიენტაცია კონკრეტული საფეხურის(დაწყებითი)ცნებებსა და ქვეცნებებზე.9ეხება მუსიკისა დახელოვნების კურიკულუმებს).
ინდიკატორი N 2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**სპორტი:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**ზოგადი:** სასურველია „ვერიფიკაციის მექანიზმში“ დაკონკრეტდეს დოკუემნტის შენახვის შენახვის ზუსტი ვადა.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**უცხოური ენა:** სასურველია კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა დამატებითი სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს და სამუშაო რვეულის მითითებისას, სასურველია დაკონკრეტდეს გვერდები.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**ესთეტიკური აღზრდა**: სასურველია სასწავლო პროცესი გამრავალფეროვნდეს დამხმარე რესურსებით და დაკონკრეტდეს რაა წყაროზეა ორიენტაცია

ინდიკატორი N 2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**მათემატიკა:** ვიზუალურად უკეთ აღქმისთვის სასურველია, კურიკულუმში თითოეულ საკითხთან შესაბამისობაში იყოს მკაფიოდ მითითებული გამოყენებული ან დაგეგმილი სასწავლო რესურსები (მონიშვნის ან სხვა შესაბამისი ფორმის გამოყენებით).
ინდიკატორი N 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მასწავლებელმა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართოს ვიდეო და აუდიო მასალები, შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** საშუალო საფეხური	*რჩევა*
ინდიკატორი N 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**უცხოური ენა:** სასურველია, უცხოური ენის საგნობრივ კურიკულუმებში იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალება, ვიდრე წარმოდგენილია ამ ეტაპზე. ამასთან, შესაბამის სვეტში გაიწეროს რელევანტური კონტექსტ-მაგალითები, როგორიცაა, მაგალითად, I და II კლასების ინგლისური ენის კურიკულუმებში შემოქმედებითი ტიპის დავალებებისთვის განსაზღვრული კონტექსტ-მაგალითები.
ინდიკატორი N 2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	**ესთეტიკური აღზრდა**: სასურველია, **სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შედეგების უკეთ მიღწევისათვის**, პერიოდულად გადაიხედოს საშუალო საფეხურის XI კლასის ხელოვნების კურიკულუმი და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს შესაბამისი კორექციები.
*ინდიკატორი N **2.1.2.4.***	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშულო საფეხურის კურიკულიმში- (პროექტული სწავლება) გამოკვეთილი იყოს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები და შედეგები.
*ინდიკატორი N **2.1.2.5.***	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია კარგად დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,ჩანდეს ორიენტაცია კონკრეტული

		საფეხურის(დაწყებითი)ცნებებსა და ქვეცნებებზე.9ეხება მუსიკისა დახელოვნების კურიკულუმებს).
ინდიკატორი N ***2.1.2.5.***	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**მათემატიკა:** სასურველია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული ხასიათის, მაგალითად: ფრაზა „კარგად ფლობს საკითხს“ შეიცვალოს ფრაზით: „კარგად ამარტივებს ლოგარითმულ გამოსახულებებს“ ან „სწორად აგებს მაჩვენებლიანი ფუნქციის გრაფიკს“ და სხვა.
ინდიკატორი N ***2.1.2.5.***	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**სპორტი:** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.
ინდიკატორი N 2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	**ზოგადი:** სასურველია „ვერიფიკაციის მექანიზმში“ დაკონკრეტდეს დოკუემნტის შენახვის შენახვის ზუსტი ვადა.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**უცხოური ენა:** სასურველია კურიკულუმში მითითებულ იქნას ყველა დამატებითი სასწავლო რესურსი, რომელსაც იყენებს კათედრა საგანმანათლებლო პროცესში, ასევე, რესურსების სვეტში სახელმძღვანელოს და სამუშაო რვეულის მითითებისას, სასურველია დაკონკრეტდეს გვერდები.
ინდიკატორი N 2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**ესთეტიკური აღზრდა**: სასურველია სასწავლო პროცესი გამრავალფეროვნდეს დამხმარე რესურსებით და დაკონკრეტდეს რაა წყაროზეა ორიენტაცია.
ინდიკატორი N 2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	**მათემატიკა:** ვიზუალურად უკეთ აღქმისთვის სასურველია, კურიკულუმში თითოეულ საკითხთან შესაბამისობაში იყოს მკაფიოდ მითითებული გამოყენებული ან დაგეგმილი სასწავლო რესურსები (მონიშვნის ან სხვა შესაბამისი ფორმის გამოყენებით).
ინდიკატორი N 2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, მასწავლებელმა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართოს ვიდეო და აუდიო მასალები, შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

–

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 5 და 6 მარტს - **სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლაში** განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით "განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შესაბამისობა.

სკოლა შემოწმდა ავტორიზაციის სტანდარტის ოთხივე მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია,ადგილზე შეისწავლა არსებული სიტუაციები და წარადგინა დასკვნის პროექტი. აღნიშნული პროექტის მიხევით ავტორზაციის სტანდართან შესაბამისობაში ექსპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა რამდენიმე მიგნება - ხარვეზი. კერძოდ, მესამე სტანდარტის შემხთვევაში, შეუსაბამობა დაფიქსირდა შემდეგ ინდიკატორებთან: **3.1.2.4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს** - ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლა არ ჰყავდა ექთანი. **3.4.1.1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა** - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა : საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

ამასთანავე: სკოლის შენობის ქვეშ მდებარე სარდაფის ჩასასვლელი კიბე ღია მდგომარეობაში იყო და არ იყო დაცული შესაბამისი საფარით, კარით ან დამცავი ბარიერით. სკოლაში არ იყო უზრუნველყოფილი ვიდეოკამერების საკმარისი რაოდენობით, რის გამოც ვერ ხერხდებოდა ყველა სავალდებულო ზონის სრულყოფილი დაფარვა. **3.4.1.2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას** სკოლას არ ჰყავდა ექთანი. **3.5.1.4 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - ექსპერტთან ვიზიტის დროს სკოლის მეორე სართული არ იყო ადაპტირებული (კიბე). **3.6.3.5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი**

მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია - სკოლის ვებგვერდზე არ იყო განთავსებული სტანდარტით მოთხოვნილი სავალდებულო დოკუმენტაცია.მეორე სტანდარტის მიმართლებით, შეუსაბამობა დადგინდა **2.2.2.3 კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** -ექსპერტთან ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია,

ექსპერტების მიერწარმოდგენილი მიგნებები გაანლიზა სკოლამ და წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფმა და გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ, მესამე სტანდარტის ინდიკატორები: **3.1.2.4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; 3.4.1.1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა; 3.4.1.2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;** და მეორე სტანდარტის ინდიკატორი **2.2.2.3 კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით** მიიჩნია მეტწილ შესაბამისად. მესამე სტანდარტის ინდიკატორი **3.5.1.4 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - ნაწილობრივ შესაბამისად. ხოლო მესამე სტანდარტის **ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - ექსპერტთან ვიზიტის დროს სკოლის მეორე სართული არ იყო ადაპტირებული (კიბე). **3.6.3.5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია** - სრულ შესაბამისად.

სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისობასთან დაკავშირებით, სკოლას მიეცა რეკომენდაციები. კერძოდ, **3.1.2.4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;** - შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით, სკოლამ შეარჩიოს ექთნის პოზიციაზე კვალიფიცირებული კადრი და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება (2026 წლის მარტი- სექტემბერი). **3.4.1.1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;** - შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის მარტი - 2027 წლის მარტი): სკოლამ მოიპოვოს დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის შესახებ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის ორგანოებთან; მიმართოს

უფლება-მოსულ ორგანოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ასევე უზრუნველყოს შენობის სარდაფის ჩასასვლელ კიბეზე დამცავი ზღუდის ან კარების მონტაჟი. უზრუნველყოს სკოლის შენობის შიდა ტერიტორიაზე ვიდოესათვალთვალო აკმერის შეძენა-მონტაჟი. **3.4.1.2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;** - შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით, სკოლამ შეარჩიოს ექთნის პოზიციაზე კვალიფიცირებული კადრი და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება (2026 წლის მარტი- სექტემბერი). **3.5.1.4 სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს** - შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით 2026 წლის მარტი - 2028 წლის მარტი), სკოლამ უზრუნველყოს, შენობის შიდა სივრცისთვის, მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის დამზადება. **2.2.2.3 კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით -** შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით 2026 წლის მარტი - 2027 წლის მარტი), სკოლამ უზრუნველყოს, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღწურვილობის შეძენა და ლაბორატორიის მოწყობა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;**

სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანი სკოლაა. მისი მისია და ხედვა მნიშვნელოვნად შეესაბამება საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
სკოლის მისია ორიენტირებულია:

- **მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დამკვიდრებაზე,**
- **მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და მისწრაფებების გათვალისწინებაზე,**
- **მოსწავლის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაზე,**
- **კულტურული ფასეულობების პატივისცემის განვითარებაზე,**
- **ოჯახის, საზოგადოების და სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაზე.**

აღნიშნული მიმართულებები სრულად ეხმიანება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომლებიც ითვალისწინებს **თავისუფალი, პასუხისმგებლიანი, კრიტიკულად მოაზროვნე და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოქალაქის ჩამოყალიბებას.**
სკოლის ხედვაც თანხვედრაშია ეროვნულ მიზნებთან, რადგან იგი ორიენტირებულია:

- **მუდმივ განვითარებაზე,**
- **თანამედროვე გამოწვევებზე რეაგირებაზე,**
- **კომპეტენტური და თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებაზე,**
- **შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კადრის მომზადებაზე,**
- **ქვეყნის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში მონაწილეობის ხელშეწყობაზე.**

ამასთანავე, ხედვაში ხაზგასმულია **ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრაცია**, რაც თანამედროვე განათლების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს. არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით სკოლაშიფუქციონირებს სხვადასხვა წრე.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ **სკოლის მისია და ხედვა სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.**

1.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც **უსაფრთხო, მზრუნველ და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს**.

სკოლის ღირებულებები ქმნის საფუძველს ისეთი სასკოლო გარემოსათვის, სადაც უზრუნველყოფილია:

- ყველა წევრის თანაბარი შესაძლებლობები,
- სამართლიანი შეფასება და გადაწყვეტილებები,
- მზრუნველ და მხარდამჭერ გარემოში სწავლა,
- ინფორმაციის საჯაროობა და გამჭვირვალე მართვა,
- სკოლის საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში.

სკოლის მიერ განსაზღვრული სამუშაო პრინციპები კიდევ უფრო ამყარებს აღნიშნულ ხედვას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება:

- ფიზიკურად და ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას,
- ბავშვის ინტერესებისა და სიყვარულის პრინციპზე დაფუძნებულ მიდგომას,
- სწავლისა და სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას,
- ინოვაციური მიდგომების დანერგვას,
- გუნდურ მუშაობასა და კოლეგიალობას.

აღნიშნული პრინციპები ხელს უწყობს სკოლის ჩამოყალიბებას **სოციო-კულტურულ სივრცედ**, სადაც ხდება არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის მიღება, არამედ **პიროვნული, სოციალური და სამოქალაქო უნარების განვითარება**. სასკოლო საზოგადოება ერთად ქმნის, ერთი დიდი ოჯახის სურათს, რომელშიც ძალიან თბილი და ჯანსაღი ურთერთობა აქვთ შემავალ წევრებს. **1.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რასაც მოწმობს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები, ასევე პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი. პედაგოგიურ საბჭოში გაერთიანებულია სკოლაში მომუშავე ყველა პედაგოგი. **1.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისიისა, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებაზე მეტყველბს ის ფაქტი, რომ მის შემუშავებასა და დამტკიცებაში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება. გარდა ამისა, სკოლის ფილოსოფია გამოკრულია სკოლის შენობის მეორე სართულზე, საინფორმაციო დაფის მიმდებარედ. სკოლაში სიახლეების გასაცნობად კი არსებობს საინფორმაციო დაფა, რომლის განახლებაც ხდება ყოველდღიურად. **1.1.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველასთვის. ის, როგორც წინამდებარე ინდიკატორის აღწერისას აღვნიშნეთ, გამოკრულია სკოლის მეორე სართულზე. ამასთანავე აღნიშნული ინდიკატორის სრულყოფილად შესაბამისობის მიზნით, სკოლას მიეცა **1.1.1.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ ტერმინს, კერძოდ, საქართველო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია: სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლა. **1.1.1.6 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ფილოსოფია : მისია, ხედვა, ღირებულებები.

პედაგოგიური საბჭოს ოქმი;

სამეურვე საბჭოს ოქმი;

ვიზუალური დათვალიერება (ადგილზე ვიზიტისას).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხებს, ისე სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. აღნიშნულის დასტურია, მეთოდოლოიგიაში გაწერილი **თავი 7** „სამუშაო ჯგუფების ფორმირება და შემადგელობა“ - ჯგუფის წევრები არიან: სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოება (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი; სამეურვეო საბჭო და თემი. სამუშაო ჯგუფში მოცემულია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი და თემი, შესაბამისად, ეს ქმნის საფუძველს, ვივარაუდოდ, რომ გათვალისწინებულია ყველას ინტერესი. **1.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა. აღნიშნული სტრატეგიული გეგმა, ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური და მასში მოცემული სტრატეგიული მიზნები ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. სკოლის სტრატეგიული გეგმა, როგორც სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში არის აღნიშნული, ეფუძნება სკოლის SWOT ანალიზს. სკოლას განსაზღვრული აქვს ძლიერი მხარეები, გასაუმჯობესებელი ფაქტორები, შესაძლებლობები და საფრთხეები. სკოლას SWOT ანალიზზე დაყრდნობით შემუშავებული აქვს 2023-2030 წლების სტრატეგიული მიმართულებებიც. აღნიშნული მიმართულები შემდეგ ჩაშლილია სტრატეგიულ მიზნებად და სულ მოცემულია 7 სტრატეგიული მიზანი, შესაბამისი ამოცანებითა და შესრულების ვადებით. **1.2.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან. მასში განსაზღვრულია შვიდი მიზანი მიზნის შესაბამისი ამოცანები, აქტივობები. პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები (მტკიცებულებები) და რესურსები. აღნიშნული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს გასული სასწავლო წლის შესრულების შედეგებს, რასაც მოწმობს პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე, ანალიზი გაუკეთდა გასული სასწავლო წლის გეგმას და მის საფუძველზე შეიქმნა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.**1.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის მიერ შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, მოცემულია ამოცანები და განსახორციელებელი აქტივობები. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი რესურსები. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა რეალისტური და განხორციელებადია. **1.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოლოგია;
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. კერძოდ, დოკუმენტში მოცემულია, რომ სკოლა წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში ახორციელებს სამოქმედო გეგმის

მონიტორინგსა და შეფასებას. ხოლო სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ. ამასთანავე აღწერილია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

1.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლას პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმში მოცემული ჰქონდა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელზე დაფუძნებითაც შემუშავდა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლას სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების პროცესები.**1.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

აღსანიშნავია, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს მიღებული შედეგების გაზიარებისა და გასაჯაროების მექანიზმებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მონიტორინგის განხორციელებისთანავე უზრუნველყოფილი იქნება შედეგების გასაჯაროება. **1.2.2.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებს სკოლა იყენებს მომავალი საქმიანობის დასაგეგმად, ასევე სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს შედეგებსაც გამოიყენებს სკოლა საკუთარი საქმიანობის ხარისხის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულის დასტურია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილი შესაბამისი პუნქტი. **1.2.2.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
პედაგოგიური საბჭოს ოქმი N1.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლასა და დასაქმებულ პირებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც განსაზღვრულია მათი კონკრეტული ფუნქციები.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაციისთვის ხელმძღვანელობს, ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და „საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. აღნიშნული ხელშეკრულებები, სკოლის შინაგანაწესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. **3.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა, მათ შორის ფუნქციების გადანაწილება, ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად და გამჭვირვალედ განხორციელებას. სკოლა ეყრდნობა საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ორგანულ კანონს: საქართველოს შრომის კოდექსს"და „ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონს", ასევე მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს, სკოლის შინაგანაწესსა და სხვა მოქმედ კანონმდებლობას, თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, სხვადასხვა წესებს (სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესი და პროცედურები, საზოგადოებასთან ურთერთობაზე პასუხისმგებელი პირი და ა.შ.). **3.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
შინაგანაწესი;
თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები;
სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
სკოლის სტრუქტურა;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. რომელშიც გაწერილია თამანშრომლის მიღებისა და ადაპტაციის წესი. ამასთანავე სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი და ინდივიდუალური ხელშეკრულებები. აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისია მოქმედი კანონმდებლობის. **3.1.2.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ მართვის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების წინასწარ დაგეგმვასა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის რეაგირებას.

თანამშრომელთა საქმიანობისა და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების მიზნით სკოლაში შექმნილია **ხარისხის მართვის ჯგუფი**, რომლის მთავარი ამოცანაა სასწავლო პროცესზე სისტემური დაკვირვება, არსებული პრაქტიკის ანალიზი და მისი გაუმჯობესების ხელშეწყობა. აღნიშნული ჯგუფი ხელს უწყობს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის მუდმივ განვითარებას და პროფესიული გარემოს გაძლიერებას.

ამასთანავე, სკოლის თანამშრომლებს ადმინისტრაციული აქტების — ბრძანებების საფუძველზე განსაზღვრული აქვთ კონკრეტული მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რაც უზრუნველყოფს თითოეული თანამშრომლის როლის მკაფიო განსაზღვრას და მართვის პროცესების ეფექტიან განხორციელებას. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ორგანიზებულ, პასუხისმგებლიან და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სამუშაო გარემოს ჩამოყალიბებას. **3.1.2.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლას აქვს სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის გამოცხადების წესი, რომელიც შემუშავებულია „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებსა და დირექციის წარმომადგენლებს აქვთ ცნობები ნასამართლეობის შესახებ. წარმოდგენილი აქვთ ცნობები „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, მასწავლებლების შემთხვევაში ხელშეკრულებებში შეტანილია სტატუსის შესაბამისი დამატებითი მოთხოვნები. სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია (https://teacherjobs.ge/) შემდეგ პოზიციაზე: კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, სკოლის ექიმი, საქმის მწარმოებელი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი. 3.1.2.3. **ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლები შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში სულ 19 თანამშრომელია, მათ შორის 15 მასწავლებელი (13 უფროსი სტატუსით 2 მენტორის სტატუსით).

სკოლა მცირეკონტიგენტიანია, დირექტორი და საქმისმწარმოებელი არიან საგნის მასწავლებლებიც (დადასტურებული კვალიფიკაციით). **3.1.2.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ორგანიზაციული მართვის კულტურის და გუნდური მუშაობის პრიციპები. ამასთავე, სკოლაში შექმნილი გარემო და ერთ გუნდად შეკრული კოლექტივი, ორგანიზაციული კულტურის განვითარებას უწყობს ხელს. ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ასევე ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი. **3.1.2.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი ფულადი პრემიის გაცემა. **3.1.2.6 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;
ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
ბრძანებები;
ხელშეკრულებები;
თანამშრომელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი. შეფასების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. შესრულებული სამუშაოს შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს უშუალო ხელმძღვანელის მიერ ან თვითშეფასებით; ან შესაბამისი კითხვარების მეშვეობით სასკოლო საზოგადოების მიერ შეფასება და ა.შ. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე გაწერილია პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

3.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლას პერსონალის განვითარება ერთწლიან სამოქმედო გეგმაშიც აქვს ასახული, გარდა ამისა, თვითშეფასების საფუძველზე, სკოლა მზაობას გამოხატავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაში წვლილი შეიტანოს. წახალისებულია ნებისმიერი თანამშრომლის მიზნობრივი ინიციატივა. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის მიზანია მასწავლებელთა, მოსწავლეთა და ზოგადად სასწავლო პროცესის მხარდაჭერა.

3.2.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, მხარს უჭერს და მოტივაციას უზრდის კარიერული განვითარების გზაზე. სკოლამ აღნიშნა, რომ მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში, ჩართულები არიან სხვადასხვა ტრენინგში. რაც შეეხება სხვა თანამშრომლებს, სკოლა სამომავლოდ გეგმავს მათი საჭიროებების დადგენასა და ხელშეწყობას. სკოლა მაქსიმალურ მხარდაჭერას გამოხატავს მისი მასწავლებლების მიმართ, რომელთაც სურთ კარიერული წინსვლა თუ პროფესიული განვითარება, მხარდაჭერა გამოიხატება მათი მაქსიმალური ინფორმირებულობით შესაბამისი ტრენინგ კურსებისა თუ მოსამზადებელი პროგრამების გაცნობით.

3.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმები, ადაპტაციის ეტაპები და გასახორციელებელი აქტივობები, ასევე ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით თანამშრომელთა ვალდებულებები. სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაცია მოიცავს სამ ეტაპს : 1. მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შეხედულება სკოლის შესახებ; 2. შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, სოციალიზაციის პერიოდი; 3. „ოჯახის წევრობა"- სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა ადაპტაციის ხელშემწყობი აქტივობები. **3.2.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის მიერ შექმნილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს, რომ სკოლა: აღიარებს პერსონალის პროფესიული განვითარების მნიშვნელობას; ახორციელებს საჭიროებების კვლევას და ამის საფუძველზე გეგმავს განვითარების აქტივობებს; იყენებს მოტივაციისა და წახალისების სხვადასხვა ფორმებს, როგორიცაა სიგელი, პრემია, აღიარება და სხვა; უზრუნველყოფს ტრენინგებში, პროექტებსა და პროფესიულ აქტივობებში ჩართულობას.

3.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
პერსონალის პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია ხარისხის მართვის ციკლი - დაგეგმე; განახორციელე; შეაფასე განავითარე; ხარისხის უსზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიდან გამომდინარე, სკოლაში მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, ტარდება დიაგნოსტიკური წერები. ხოლო ამის საფუძველა ხორციელდება კურიკულუმების რევიზია. **3.3.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იდენტიფიცირებულია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლას შემუშავებული აქვს თითოეული მმართველი რგოლის ფუნქციები, თანამდებობრივი ვალდებულებები, მაგალითად, დირექტორის მოვალეობები, დირექტორის მოადგილის მოვალეობები, სამეურვეო საბჭოს მოვალეობები, სკოლის ბუღალტრის მოვალეობები, მასწავლებლის მოვალეობები, ბიბლიოთეკარის მოვალეობები და ა.შ. თითოეული ვალდებულება დაკავშირებულია სკოლის საგანმანათლებლო

საქმიანობასთან. აღნიშნული თანამდებობრივი მოვალეობები გამომდინარეობს საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ და დაკონკრეტებულია თანამდებობრივ ბრძანებაში, ხელშეკრულებებში. **3.3.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

სკოლაში ფუნქციონირებს საჩივრებისა და დავების განხილვის გარკვეული მექანიზმები, რაც გამოიხატება დისციპლინური კომიტეტის არსებობით, აგრეთვე შიდა რეგულაციებში — კერძოდ, სკოლის შინაგანაწესსა და დასაქმებულ პირებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში — შესაბამისი უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს ზოგად პრინციპებს, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობასთან და საჩივრების განხილვის პროცედურებთან.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლაში ამ ეტაპზე არ არსებობს ერთიანი, სისტემატიზებული დოკუმენტი, რომელიც სრულყოფილად და დეტალურად დაარეგულირებდა საჩივრების დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის პროცედურებს. არსებული მექანიზმები ფრაგმენტულად არის გაწერილი სხვადასხვა შიდა დოკუმენტში, რაც გარკვეულწილად ართულებს პროცესის გამჭვირვალობასა და ერთგვაროვან აღქმას სასკოლო საზოგადოების მხრიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სკოლას მიეცა რჩევა**: <u>სასურველია შექმნას ერთიანი შიდა რეგულაცია/დოკუმენტი, რომელიც გააერთიანებს და დეტალურად აღწერს საჩივრების მართვის პროცესს — მისი ინიცირებიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.</u> აღნიშნული ხელს შეუწყობს პროცესის უფრო მკაფიო, გამჭვირვალე და ობიექტურ წარმართვას, ასევე უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების სრულფასოვან ინფორმირებულობას საკუთარი უფლებებისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. **3.3.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, რომლის საქმიანობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. **3.3.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი;

სამეურვე საბჭოს სხდომის ოქმი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, დოკუმენტში იკითხება საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმები და ეტაპები; მაგალითად სამოქმედო გეგმის შეთანხმება ხდება სამეურვეო საბჭოსთან, განხილვისას ხდება უკუკავშირის მოსმენა და გაზიარება. ეს პროცესი თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობას სწავლა-სწავლების პროცესში. სასკოლო საზოგადოება ერთობლივად შეიმუშავებს კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიული განვითარების გეგმას რომლის მიღება და განხილვა ხდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია და გაზიარებული სასკოლო საზოგადოებაში. ამასთანავე სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. **3.3.2.1ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად. კერძოდ, საგნობრივი კათედრების შემადგენლობაშია ყველა მასწავლებელი, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლაში არსებული ინსტიტუციები მათი ფუნქცია მოვალეობებით ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში როგორც დაგეგმარების, ისე განხორციელების კომპონენტში. **3.3.2.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

სკოლის დირექტორის ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობის პირის განსაზღვრის შესახებ;
სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლისათვის პრიორიტეტულია უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა. სკოლას აქვს ცალკე გამოყოფილი და აღჭურვილი სამედიცინო ოთახი. სკოლა აწარმოებს სკოლის ეზოსა, გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეო მონიტორინგს რათა დაცული იყოს სკოლის უძრავი და მოძრავი ქონება პოტენციური ხელყოფისაგან. სკოლაში არსებული ვიდეოსამეთვალყურეო

სისტემა სრულად ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლაში არ იყო უზრუნველყოფილი ვიდეოკამერების საკმარისი რაოდენობით, რის გამოც ვერ ხერხდება ყველა სავალდებულო ზონის სრულყოფილი დაფარვა. უსაფრთოების მიზნით სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს დარაჯთან. სკოლას არ აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისი, ან სამინისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს წესი. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, სკოლას არ ჰოქნდა უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა დამტკიცებული უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; სკოლას არ ჰქონდა მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ; სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას არ აქვს საევაკუაციო გეგმა. სკოლის შენობის ქვეშ მდებარე სარდაფის ჩასასვლელი კიბე ღია მდგომარეობაში იყო და არ იყო დაცული შესაბამისი საფარით, კარით ან დამცავი ბარიერით. ღია ჩასასვლელი წარმოადგენს უსაფრთხოების რისკს, რადგან მოსწავლეებს ან სხვა პირებს შეიძლება შემთხვევით მიუწვდეთ ხელი სარდაფში ჩასასვლელზე, რაც ზრდის დაცემის, ტრავმის ან სხვა არასასურველი შემთხვევის შესაძლებლობას. ასევე, ასეთი მდგომარეობა არ უზრუნველყოფს სკოლის სივრცეში უსაფრთხოების სათანადო კონტროლს. **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არსებობა და შესაბამისი სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია სრულიად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და ამის შესაბამისად **სკოლას მიეცა რეკომენდაცია.** კერძოდ, შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის მარტი - 2027 წლის მარტი): სკოლამ მოიპოვოს დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის შესახებ, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმოს შესაბამის ორგანოებთან; მიმართოს უფლება-მოსულ ორგანოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ასევე უზრუნველყოს შენობის სარდაფის ჩასასვლელ კიბეზე დამცავი ზღუდის ან კარების მონტაჟი. უზრუნველყოს სკოლის შენობის შიდა ტერიტორიაზე ვიდეოსათვალთვალო აკმერის შეძენა-მონტაჟი. **3.4.1.1. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება**;

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირველად დახმარებაზე პასუხისმგებელი პირი. საშტატო ერთეულის მიხედვით სკოლას გამოყოფილი აქვს ექთნის შტატი, მაგრამ არ ჰყავს ექთანი. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით სკოლას გამოცხადებული აქვს ვაკანსია ამ მიმართულებით. სკოლას შემუშავებული არ აქვს

პირველადი დახმარების წესი. სკოლას აქვს აღჭურვილი ექიმის კაბინეტი და შესაბამისი საწარმოო დოკუმენტაცია. სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია სრულიად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და ამის შესაბამისად **სკოლას მიეცა რეკომენდაცია.** კერძოდ, შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით(2026 წლის მარტი- სექტემბერი), სკოლამ შეარჩიოს ექთნის პოზიციაზე კვალიფიცირებული კადრი და გააფორმოს მასთან ხელშეკრულება. **3.4.1.2. ინდიკატორი მეტწილად შეესაბამება**;

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფილია შიდა და გარე პერიმეტრების კამერებით. დაცულია სკოლაში უცხო პირების შესვლის პროცედურა. სკოლა გარე პერიმეტრზე აწარმოებს ვიდეო მონიტორინგს რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სკოლის ტერიტორიაზე რაიმე ფორმით უცხო პირების შემოსვლა სკოლის ქონების დაკარგვა და დაცული იყოს მოსწავლეთა უსაფრთხოება. სკოლას დირექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი ჰყავს კოლეგიალური ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხების განხილვასა და სკოლის დირექტორისათვის შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას. **3.4.1.3. ინდიკატორი შეესაბამება**;

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას შემუშავებული აქვს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისი შიდა ინსტრუქცია. სასკოლო საზოგადოება ერთიანობაში ქმნის თბილ, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. გარდა ამისა, სკოლაში მასწავლებლები და მოსწავლეები ხშირად გეგმავენ ერთობლივ სასკოლო აქტივობებს და ღონისძიებებს. **3.4.1.4. ინდიკატორი შეესაბამება**;

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით დასაქმებულია დამლაგებელი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ასევე პასუხისმგებელი პირი, რომელიც კოორდინაციას უწევს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სასწავლო გარემოში სისუფთავისა და ჰიგიენური პირობების შენარჩუნებას. **3.4.1.5. ინდიკატორი შეესაბამება**;

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემთა დაცვას „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ “საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. **3.4.1.6. ინდიკატორი შეესაბამება**;

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **3.4.1.7. ინდიკატორი შეესაბამება**;

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით. ელექტრონულ სისტემებთან წვდომისას, ყველა მომხმარებელს აქვს საკუთარი მომხმარებლის სახელი და პაროლი. ელექტრონული ჟურნალზე წვდომა აქვს ყველა პედაგოგს უნიკალური მომხმარებლის სახელითა და პაროლით. სკოლის ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს Office365 ლიცენზირებული მომხმარებლის სახელი და პაროლი. სკოლის კომპიუტერულ ქსელში ჩართული კომპიუტერები ჩასმულია დომეინში. შესაძლოა ითქვას, რომ ემისის მიერ სკოლაში დაცულია კომპიუტერული ქსელი და მონაცემები, რომლებსაც ინახავს eflow და eschool. **3.4.1.8. ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის კომპიუტერები;

მასწავლებლების, ადმინისტრაციის და მოსწავლის პირადი საქმეები;

სკოლის eflow და eschool

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლის შენობა-ნაგებობა საჯარო რეესტრიდან ამონაწერის შესაბამისად გათავსებულია მისამართზე: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ორბეთი, მიწის ნაკვეთის საერთო ფართობია 7810.00 კვადრატული მეტრი. ხოლო, 273 კვადრატული მეტრი მიწის ფართობი დატვირთულია სერვიტუტის უფლებით (სკოლის გვერდით აშენებულია საბავშვო ბაღი, რომლის აღსაზრდელები ისარგებლებენ სკოლის ეზოს შემოსასვლელით).; გარდა ძირითადი ნაგებობისა, სკოლის ფართობზე (ეზოში) განთავსებულია სამი შენობა-ნაგებობა (ჯამში ოთხი შენობა-ნაგეგებობა); ძირითადი შენობა, რომელშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი 2 სართულიანია, ორი დამხმარე შენობა წარმოადგენს საპირფარეშოებს (ძველს) და საქვაბე. სკოლაში არის სულ 10 საკლასო ოთახი, ხოლო დანარჩენი ოთახები გამოყენებულია სხვადასხვა დანიშნულებით: კანცელარია, სამასწავლებლო, სამზარეულოს კუთხე (მასწავლებლებისთვის), სააქტო დარბაზი და ა.შ. სკოლას საავტორიზაციო განაცხადი წარმოდგენილია აქვს 100 მოსწავლეზე, დაკმაყოფილებისა და აღნიშნული კონტიგენტის მიღების შემთხვევაში, მას შესაძლებლობა აქვს სრულად დაიტიოს მოსწავლეთა რაოდენობა და გამოყოს 12 საკლასო ოთახი.

საკლასო ოთახების გარდა, სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, გამოყოფილი აქვს მხოლოდ სივრცე საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის. ავტორიზაციის ექსპერთა ვიზიტის პერიოდში, სკოლას აქვს 60 მერხი და სკამი, თითოეული კლასი აღჭურვილია დაფით და მცირე სასკოლო ინვენტარით (კარადა, მასწავლებლის მაგიდა და სკამი). **3.5.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია ყველასათვის, გაწერილია სამუშაო განრიგი კომპიუტერული ლაბორატორიისთვის. პირველ სართულზეა ექთნის ოთახი, რესურსოთახი, სააქტო დარბაზი (დიდი ზომის საკლასო ოთახი),

სპორტული მოედანი. საერთო სარგებლობის სივრცეში, პირველ სართულზე განთავსებულია მაგიდის ტენისი, რომელიც სასკოლო საზოგადოების განკარგულებაშია. მეორე სართულზეა ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია. **3.5.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას, საშტატო განრიგის მიხედვით, არ აქვს ბიბლიოთეკარის შტატი გამოყოფილი. ბიბლიოთეკარის ფუნქციას ასრულებს ბრძანებით დაკისრებული პირი. ბიბლიოთეკის კარზე გამოკრულია სარგებლობის წესები და სამუშაო დრო. სკოლის საბიბლიოთეკო ფონდი ჯამში შეადგენს 2112 ცალ წიგნს, მათ შორის: მხატვრულ ლიტერატურას, სასკოლო სახელმძღვანელოს. ბიბლიოთეკის წიგნები (ნაწილი) დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით (ბეჭედი პირველ და მეჩვიდმეტე გვერდზე). **სკოლას მიეცა რჩევა:** სასურველაი განაახლოს წიგნადი ფონდი მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების შესაბამისად; აღჭურვოს ბიბლიოთეკა კომპიუტერით, შექმნას მიმზიდველი და მყურდო გარემო, რათა მოსწავლეებს გაუჩნდეთ ბიბლიოთეკაში მუშაობის სურვილი. **3.5.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის შესასვლელი და პირველი სართული ადაპტირებულია, პირველ სართულზეა ექთნის ოთახი, რესურსოთახი, ადაპტირებულია სველი წერტილები ორივე სართულზე. სკოლის მეორე სართული არ არის ადაპტირებული და ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. <u>სკოლის მიერ წარმოდგებილი არგუმენტირებული პოზიცია სრულიად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და ამის შესაბამისად **სკოლას მიეცა რეკომენდაცია.** კერძოდ,</u>შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი ვადების გათვალისწინებით (2026 წლის მარტი - 2028 წლის <u>მარტი), სკოლამ უზრუნველყოს, შენობის შიდა სივრცისთვის, მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსის დამზადება და დამონტაჟება.</u> **3.5.1.4 ინდიკატორი ნაწილობრივ შეესაბამება.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შენობა-ნაგებობა ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში არსებობდეს სივრცეები: სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, დერეფნები - მაგისი ტენისით აღჭურვილი, გარე სპორტული მოედანი, სკოლის ეზო, კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. ყველაფერი ეს ერთად, მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ, შეიკრიბონ და დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები. **3.5.1.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასაქონლო ზედნადები;
ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი;
ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია რომელიც აღჭურვილია 3 პერსონალური კომპიუტერითა და ინტერნეტით. სკოლას, სასწავლო პროცესის წარმართვისთვის, ჯამში აქვს 12 პორტატული კომპიუტერი, 3 ცალი ლაზერული პრიტერი, 1 ფერადი პრინტერი, 2 პროექტორი და 2 ლეპტოპი. **3.6.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. **3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი (ინვენტარიზაციის დოკუმენტი);
ლაბორატორიით სარგებლობის წესი.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას ჰყავს საქმისმწარმოებლის პოზიციაზე ბრძანებით განსაზღვრული პირი. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს დოკუმენტების ბრუნვა, აამაღლოს დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი და უზრუნველყოს დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა. სკოლა საქმისწარმოების პროცესში იყენებს ელექტრონულ სისტემას შესაბამისი ბრძანებების შექმნის მიზნით. მაგ : კლასის დონის დაძლევის ბრძანება, მობილობა, მოსწავლეთა ჩარიცხვა ამორიცხვის და სხვა. **3.6.1.2. ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სასწავლო პროცესს წარმართავს ელექტრონული მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენებით. სკოლაში, როგორც შიდა, ისე გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის, გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eflow, Eschool-ის ბაზა და office 365. სკოლა ელექტრონული სისტემის საშუალებით ახდენს სასწავლო პროცესის წარმართვას მაგალითად eschool სისტემას სადაც ხდება ცხრილის ატვირთვა მოსწავლეთა კლასებში განაწილება საგნებისა და მასწავლებლების განაწილება, ასევე eflow სისტემას დოკუმენტბრუნვის საჭიროების შესაბამისად. **3.6.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool სისტემაში სკოლას სრულყოფილად აქვს ასახული მონაცემები. კერძოდ, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს ექსპერტებმა ეისწავლეს სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **3.6.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს და ინფორმაციას საგანანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შესაბამის უწყებებს. რისი დასტურიც გახლავს სკოლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სტრუქტურებთან/დაწესებულებებთან. **3.6.1.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
გაგზავნილი კორესპონდენციები
მართვის საინფორმაციო სისტემის შესაბამისი პროფილი
საქმისწარმოების წესი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ორიენტირებულია მაქსიმალურად უზრუნველყოს მშობელთა ჩართულობა შესაბამისი ღონისძიებებით, დამრიგებლები კლასის საათის ფორმატით ხვდებიან მშობლებს სკოლა აქტიურად და მიზნობრივად იყენებს ონლაინ პლატფორმას. სოციალური ქსელის საშუალებით აცნობს ყველა სიახლეს მშობლებსა და ყველა დაინტერესებულ პირს კანონმდებლობის დაცვის ნორმების შესაბამისად.

3.6.3.1 ინდიკატორი შეესაბამება.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა ავრცელებს მის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ უტყუარ ინფორმაციას.

3.6.3.2 ინდიკატორი შეესაბამება.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლაში აქტიურად მოქმედებს სამეურვეო საბჭო, რომელიც სკოლის საზოგადოების წარმომადგენელია. სამეურვეო საბჭო განიხილავს სხვადასხვა საკითს და ოქმის სახით უკუკავშირს სთავაზობს სკოლას. გარდა ამისა, სკოლას აქვს სოციალური გვერდი, მშობლები ხშირად კომენტარის სახით, სკოლას აწვდიან უკუკავშირს. **3.6.3.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი,რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

3.6.3.4 ინდიკატორი შეესაბამება.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზედაც ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს არ იყო მოცემული სტანდარტის ინდიკატორით განსაზღვრული / მოთხოვნილი დოკუმენტაცია. <u>სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია სრულიად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფმა და ინდიკატორი სრულად შეესაბამება სტანდარტის მოტხოვნებს</u> **3.6.3.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის ვებგვერდი : www.skolebi.emis.ge

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსურ რესურს განკარგავს სკოლის საჭიროებების შესაბამისად, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობები შეესაბამება მის ფინანსურ რესურსს. სამეურვეო საბჭოს ოქმი ფინანსური ანგარიშის შესახებ, სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე. **3.7.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიტორინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ასევე წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სამეურვეო საბჭოს ოქმები. **3.7.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმები

სოლის დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას და გარანტიებს უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, სკოლა ხელმძღვანელობს მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეთიკის კოდექსით, მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო. სკოლის დირექტორს ბრძანებით შექმნილი აქვს მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფი. მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტი, -ჩარიცხვა-ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება-აღდგენა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეწყვეტის წესი. ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის იფიცერი და დისციპლინური კომიტეტი. ძალადობის შემთხვევაში რეფერისების შიდა ინსტრუქცია და ა.შ.**4.1.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ატარებს გაერთიანებულ მშობრელთა კრებას, და აცნობს საკანონმდებლო დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესს; სასკოლო სასწავლო გეგმას, სკოლო კურიკულუმებსა და შეფასების სისტემას. **4.1.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. მშობელთან დადებულ ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული თითოეული მხარის უფლება-მოვალეობები.

4.1.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;

მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას, მოქმედი კანონმედბლობის შესაბამისად, შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლაში დამრიგებელს აქვს ყოველდღიური ურთერთობა მშობელთან და აწვდის მოსწავლის შესახებ ინფორმაციას. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ სკოლაში შექმნილია მეგობრული თბილი გარემო.
4.1.2.1 ინდიკატორი შეესაბამება.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლეთა ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით. **4.1.2.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლა მართავს შეხვედრებს მშობლებთან და აცნობს სასწავლო გეგმას, კურიკულუმებს. სასკოლო სასწავლო გეგმა არ ითვალისწინებს დამატებით სერვისებს. სკოლას არ აქვს დამატებითი ფასიანი მომსახურება. **4.1.2.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლას ჰყავს საზოგადოებასთან ურთირთობაზე პასუხისმგებელი პირი ბრძანებით განსაზღვრული, ის მართავს სკოლის სოციალურ გვერდს Facebook-ზე. **4.1.2.4 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასკოლო სასწავლო გეგმა;
საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი;
მშობელთა კრების ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლის ადაპტაციას სკოლაში. დოკუმენტში აღწერია მოსწავლის ადაპტااციის ეტაპები, და კონკრეტული აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. **4.2.1.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოსწავლის ადაპტაცია, მისი შემოსვლის წუთიდან იწყება. გარემო ძალიან თბილი და მეგობრულია. ამასთანავე სკოლაში სასწავლო პროექტები ხორციელდება სასკოლო საზოგადოების. აღნიშნული სტილის პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებში კეთილგანწყობილ, თბილ და თანამშრომლობითი ურთერთობის ჩამოყალიბებას. მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტში გაწერილია კონრეტული ეტაპები: სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება; კლასელების გაცნობა (დამრიგებლისა და საგნის მასწავებლის დახმარებით); **4.2.1.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა აკადემიური მოღწევების გაუმჯობესებაზე. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლის მხარდამჭერი ზოგადი ღონისძიებები. მოსწავლეთა საჭიროების დადგენის შემთხვევაში, მასწავლებლები ხვდებიან

ინდივიდუალურად მოსწავლეებს, მოსწავლეების ინიციატივით შექმნილია სხვადასხვა კლუბი, რომელთა არსებობსაც (ირიბად) ხელს უწყობს აკადემიური მიღწევის გაუმჯობესებას.**4.2.1.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია მოსწავლისთვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის ძირითადი და ზოგადი მექანიზმები. სკოლის დირექტორს ასევე ბრძანებით შექმნილი აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფი, შემუშავებულია ასევე აღნიშნული ჯგუფის დებულება და გაწერილია ზოგადი მექანიზმები. **4.2.1.4. ინდიკატორი შეესაბამება.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა სისტემატურად ხელს უწყობს დამატებით და არაფორმალურ აქტივობებს, რასაც უზრუნველყოფს როგორც კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურები, ისე სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი (მასწავლებლები, ადმინისტრაცია). მოსწავლეთა ინიციატივის ხელშეწყობის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც აქტიურად აწყობს და კოორდინაციას უწევს კლუბებსა და პროექტებს.

მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე შექმნილია სხვადასხვა თემატური კლუბები. მოსწავლეები, მათი ინიციატივის შესაბამისად, მონაწილეობენ მიზნობრივ ექსკურსიებში, კულტურულ ღონისძიებებში და კონკურსებში, რაც აძლიერებს მათი სოციალური, გუნდური და საგანმანათლებლო უნარებს. სკოლა აქტიურად აფასებს და აღიარებს მოსწავლეთა ინიციატივებს, რაც ზრდის მოტივაციასა და შემოქმედებითობას.**4.2.1.5 ინდიკატორი შეესაბამება.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა სისტემატურად ახორციელებს კომუნიკაციას მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რაც უზრუნველყოფს მათი მოსაზრებებისა და საჭიროებების რეგულარულ შეგროვებას. აღნიშნული უკუკავშირი ძირითადად ზეპირი ფორმით ხორციელდება. მიღებული ინფორმაცია განიხილება და გამოიყენება სასწავლო გარემოსა და მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ამასთან, სკოლა მომავალში გეგმავს უკუკავშირის მიღებისა და ანალიზის პროცესის უფრო სტრუქტურირებულად დაგეგმვასა და განვითარებას. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სკოლის მიერ გადაწყვეტილებების უფრო ეფექტიანად მიღებას და მომსახურების ხარისხის მუდმივ განვითარებას. **4.2.1.6 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;
მოსწავლის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კლასის დამრიგებლები აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეებსა და მათი კანონიერ წარმომადგენლებს კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესში. ისინი **კლასის საათის ფარგლებში აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს**, სადაც დეტალურად უხსნიან მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიისა და სასწავლებლის შესაძლებლობებს, გასაყიდი გზებს, საჭირო უნარებს და მოთხოვნებს.**4.2.2.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებსა და მათი კანონიერ წარმომადგენლებს მუდმივად განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ინფორმაციას მიაწვდიან სხვადასხვა პროფესიისა და სასწავლებლის შესახებ, რაც ეხმარება მშობლებსა და მოსწავლეებს მომავალ პროფესიულ არჩევანში.**4.2.2.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მიზნად ისახავს მომსახურების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას და ამისთვის აქტიურად უთმობს ყურადღებას მოსწავლეთა, მშობლების და პერსონალის მიერ მიწოდებულ უკუკავშირს. უკუკავშირის მიღება ხდება რეგულარულად სხვადასხვა ფორმით – პირადი შეხვედრები, გაკვეთილების ან ღონისძიებების დროს მიღებული მულტიფუნქციური შეფასება, ზეპირი რეკომენდაციები. მიღებული მონაცემების საფუძველზე სკოლა განიხილავს საჭირო ცვლილებებსა და ინოვაციებს, რაც ხელს უწყობს სერვისის ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას.**4.2.2.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ინტერვიუ მშობლებთან;
ინტერვიუ მოსწავლეებთან;
ინტერვიუ მასწავლებლებთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი და ასევე მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან.
სკოლაში დასაქმებულია სპეციალური მასწავლებელი და სსსმ პირის ასისტენის პოზიციაზე გამოცხადებული აქვს ვაკანსია. შექმნილია ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგის ჯგუფი. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე. სკოლაში აქტიურად მოქმედებს ინდივიდუალურ გეგმაზე მომუშავე გუნდი. შესაბამისად მათ აქვთ საჭიროებას მორგებული გეგმები და შეხვედრების ოქმები; **4.2.3.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას აქვს რესურსოთახი, ჰყავს სპეციალური მასწავლებელი და გამოცხადებული აქვთ ვაკანსია ასისტენტის თანამდებობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ისგ ჯგუფის ფორმირება. ისგ ჯგუფის მუშაობა ეფუძნება მასწავლებელთა და მშობლის ერთობლივ საქმიანობას. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა სირთულის პირველადი მართვის მექანიზმები, რომელიც ასევე მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის სირთულის ერთობლივად დაძლევაზეა დაფუძნებული.

სსსმ მოსწავლის საჭიროებების მიხედვით შექმნილია ინდივიდუალური გეგმა. აღნიშნული მოსწავლე აქტიურად ჩართულია სასკოლო ღონისძიებებში და სასკოლო ცხოვრებაში. **4.2.3.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასკოლო სასწავლო გეგმა;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში არ აღნიშნული მომსახურება. **4.2.4.1 ინდიკატორი შეესაბამება.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

აღნიშნული მომსახურება არ აქვს სკოლას. **4.2.4.2 ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

აღნიშნული მომსახურება არ აქვს სკოლას. **4.2.4.3 ინდიკატორი შეესაბამება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება **☐ მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	**☐ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ეფუძნება პრინციპს, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. დოკუმენტი განსაზღვრავს კურიკულუმის განვითარების უწყვეტ ციკლს, სადაც დაგეგმვის ეტაპზევე ხდება სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებისა და მათი მონაწილეობის ფორმების დაზუსტება. მეთოდოლოგია ითვალისწინებს უკუკავშირის მიღების მრავალფეროვან არხებს, როგორიცაა სკოლის ვებგვერდი /სოციალური გვერდი, სოციალური მედია და საჯარო ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს ინტერაქტიულ, ორმხრივ კომუნიკაციას და სხვადასხვა ჯგუფის შეხედულებების გათვალისწინებას. **2.1.1.1. ინდიკატორი შეესაბამება**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესი სკოლაში დაფუძნებულია თანამონაწილეობით პრინციპებზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების მაქსიმალურ ასახვას სასწავლო გეგმაში:

- აქტიური ჩართულობა და პრიორიტეტები: კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის უშუალო მონაწილეობით და პირდაპირ ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. თავად კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასაც დირექტორი სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ქმნის.
- მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება: კურიკულუმის რევიზიის პროცესში სკოლა აანალიზებს, თუ რამდენად იყვნენ ჩართულნი მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მშობელთა ხედვების ინტეგრირება: სკოლა რეგულარულად სწავლობს, რამდენად შეძლეს მშობლებმა სკოლის მისიისა და

კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან. სასწავლო პროცესში გამოიყენება ის რესურსები, რომლებსაც სკოლას თავად მშობლები სთავაზობენ (მაგალითად, ექსკურსიები, მუზეუმებში ვიზიტები).

- ფუნქციების მკაფიო განსაზღვრა: კურიკულუმზე მუშაობისას განსაკუთრებული დრო ეთმობა სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებისა და მონაწილეობის ფორმების დაზუსტებას, რაც გარანტიაა იმისა, რომ მათი ხმა გათვალისწინებული იქნება განვითარების ყველა ეტაპზე.

ამგვარად, კურიკულუმი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც აერთიანებს სასკოლო საზოგადოების ყველა ჯგუფის ხედვასა და საჭიროებებს. **2.1.1.2. ინდიკატორი შეესაბამება**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კურიკულუმის შემუშავება წარმოადგენს კოლაბორაციულ პროცესს, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი პასუხისმგებლობები: მასწავლებლები მონაწილეობენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და კურიკულუმის დიზაინის (მეთოდები, სტრატეგიები, რესურსები) შეთანხმებაში. კათედრის თავმჯდომარეები უზრუნველყოფენ ფასილიტაციას, პრობლემური საკითხების გამოკვეთას და არიან შუამავლები დირექციასა და პედაგოგებს შორის. სკოლის დირექცია ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის პროცესს, მართავს სამუშაო შეხვედრებს და უზრუნველყოფს კურიკულუმის ყოველწლიურ განახლებას კათედრებთან თანამშრომლობით,. პროცესი სრულდება პედაგოგიური საბჭოს მიერ კურიკულუმის დამტკიცებით, თავად მეთოდოლოგიის დოკუმენტი კი შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.**2.1.1.3. ინდიკატორი შეესაბამება**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლაში კურიკულუმის გაზიარება და სასკოლო საზოგადოების ინფორმირება წარმოადგენს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ერთ-ერთ დამხმარე პროცესს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით აღნიშნული პროცესი მოიცავს როგორც ინფორმაციის მიწოდებას, ისე ორმხრივ კომუნიკაციას: სკოლის დირექცია პასუხისმგებელია უხელმძღვანელოს ხარისხის მართვის პროცესს, რაც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების წევრების მუდმივ ინფორმირებას კურიკულუმის განვითარების პროცესის შესახებ. დირექცია უზრუნველყოფს პედაგოგიკური პრაქტიკის შესწავლის შედეგების დოკუმენტირებასა და საჯარო პრეზენტაციას სასკოლო საზოგადოების წინაშე. მასწავლებლები ვალდებულნი არიან სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად გაუზიარონ მოსწავლეთა მშობლებს. **2.1.1.4. ინდიკატორი შეესაბამება**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი საფეხური:** დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კურიკულუმებში გაწერილი შუალედური მიზნები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, შესაბამისი კონტექსტ მაგალითები, საჭირო რესურსები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, სასწავლო მასალამ ნიმუშების სახით (განმავითარებელი შეფასებები, თვითშეფასების, თანაშეფასების, გასასვლელი და შესასვლელი ბარათები/ კითხვარები) და ინტერვიუმ მასწავლებლებთან წარმოაჩინა კათედრის სწორი ხედვა და მზაობა. კათედრამ გამოამჟღავნა სტრატეგიების ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდური ორიენტირების ცოდნა სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებები განსაზღვრისათვის. ამიტომ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **საბაზო საფეხური:** საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში (ქიმიის VIII და IX კლასები,ფიზიკისა და ბიოლოგიის VII, VIII და IX კლასების) არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სწორად არის შევსებული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და

	ქვეცნებები, შესაბამისი რესურსებით; ასევე არის ასახული კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. **საშუალო საფეხური:** საბუნებისმეტყველო კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას, მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში (ქიმიის X,XI და XII კლასები,ფიზიკისა და ბიოლოგიის X,XI და XII კლასების) არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სწორად არის შევსებული სავალდებულო თემები,სამიზნე ცნებები და ქვეცნებები,შესაბამისი რესურსებით; ასევე არის ასახული კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ მაგალითები. **ინდიკატორი შეესაბამება**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში შემუშავებული კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპებს და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. იგი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების ძირითად მიმართულებებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კურიკულუმი ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და მათი აკადემიური და პიროვნული განვითარების მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება**
უცხოური ენები	წარმოდგენილ უცხოური ენების საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი შეესაბამება** **რჩევა** - სასურველია, უცხოური ენის საგნობრივ კურიკულუმებში იყოს უფრო მეტი შემოქმედებითი ტიპის დავალება, ვიდრე წარმოდგენილია ამ ეტაპზე. ამასთან, შესაბამის სვეტში გაიწეროს რელევანტური კონტექსტ - მაგალითები, როგორიცაა, მაგალითად, I და II კლასების ინგლისური ენის კურიკულუმებში შემოქმედებითი ტიპის დავალებებისთვის განსაზღვრული კონტექსტ-მაგალითები.

ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმი ერთიანობაში ორიენტირებულია მოსწავლის უნარების მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებაზე. სასწავლო პროცესი თანამიმდევრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმის საფეხურის შედეგებისკენ, რაზედაც მეტყველებს ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული მუსიკისა და სახვითი ხელოვნების საგნობრივი კურიკულუმები; **ინდიკატორი შეესაბამება** **რჩევა** - (ეხება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგანს) პირველად ეტაპზე გადმოგზავნილ დაწყებითი საფეხურის ხელოვნების მეოთხე კლასის კურიკულუმში შეცდომითაა შეტანილი საბაზო საფეხური თემატური ბლოკი-საზოგადოება და ხელოვნება. საჭიროა კორექციის შეტანა ხელოვნების მეოთხე კლასის მუსიკის კურიკულუმში. ასევე სასურველია დაზუსტდეს თუ რა ქვეცნებებს ამუშავებს პედაგოგი.იგივე შეიძლება ითქვას მეექვსე კლასის ხელოვნების კურიკულუმზეც - არ მუშავდება თემატური ბლოკი-ხელოვნება ჩვენს გარშემო. მსგავსი რჩევა მივეცი ინტერვიუს დროს ხელოვნების. მეცხრე კლასის კურიკულუმთან დაკავშირებითაც, სადაც არ იყო მითითებული თემატური ბლოკი - ადამიანი ხელოვნებაში.აქვე აღვნიშნავ, რომ ინტერვიუს შემდეგ გადმოგზავნილ ჩემ მიერ მითითებულ კურიკულუმებში შესწორება შეტანილ იქნა და რჩევა გათვალისწინებულ იქნა მეოთხე და მეექვსე კლასის კურიკულუმებში (მეცხრე კლასის კურიკულუმში იგივე შეცდომა ფიქსირდება ისევ, გთხოვთ გაითვალისწინოთ). ასევე ჩემ მიერ ინტერვიუს დროს განსაკუთრებით ხაზი გაესვა საშუალო საფეხურის მეთერთმეტე კლასის ხელოვნების კურიკულუმის არარელევანტურობას, პედაგოგმა გაითვალისწინა შენიშვნა და ამის შემდგომ გადმოიგზავნა პროექტის გეგმა და შეფასების რუბრიკა. თუმცა ამ შეცდომის აღმოფხვრა უკვე მომავალ სასწავლო წელს დაიგეგმა.
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ სახელმწიფო ენის საგნობრივი კურიკულუმები სკოლის სამივე საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლეზე და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს აუცილებელ კომპონენტებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს

	სწავლის შედეგების მიღწევას, შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. საგნობრივი კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები გვიჩვენებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს წარმოადგინეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს საკუთარ გამოცდილებაზე. სწორი აქცენტები გააკეთეს გრძელვადიანი მიზნის მისაღწევად გამოყენებულ დავალებებზე, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე. **ინდიკატორი შეესაბამება**
მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** ყველა კლასის კურიკულუმი ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; გასაუბრების დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს, როგორ გეგმავენ გაკვეთილებს კლას-კომპლექტებში, სკოლაში 2-4 და 1-3 კლას-კომპექტებია შექმნილი. თუმცა, ასეთი დაგეგმვა კურიკულუმებით არაა განსაზღვრული. ასევე, მე-5-მე-6 კლასებში ეროვნული სასწავლო გეგმის სტადარტის მიხედვით განსაზღვრული თემები სრულად არაა წარმოდგენილი, ამიტომ შესაბამისი საკითხები გადანაწიებულია წარმოდგენილ ოთხ თემაში. **საბაზო საფეხური:** ყველა კლასის კურიკულუმი ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; დაგეგმვისას გათვალისწინებულია ესგ-ს სტანდარტით განსაზღვრული თემების ჩამონათვალი და სწორადაა შერჩეული თემების შესაბამისი საკითხების ჯგუფი. **საშუალო საფეხური:** ყველა კლასის კურიკულუმი ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება მათ განვითარებას; დაგეგმვისას გათვალისწინებულია ესგ-ს სტანდარტით განსაზღვრული თემების ჩამონათვალი და სწორადაა შერჩეული თემების შესაბამისი საკითხების ჯგუფი. **ინდიკატორი შეესაბამება** **რჩევა დაწყებით საფეხურზე:** **რჩევა 1 :** სასურველია, კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელონ ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული თემების ჩამონათვალით და ამ თემებს მიუსადაგონ შესაბამისი საკითხების ჯგუფი, რაც უზრუნველყოფს კონსტრუქტივისტულ სწავლებას და საკითხთა შორის კავშირის დამყარებას.

	რჩევა 2 : სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ გათვალისწინებული იყოს კლას-კომპლექტებში (2-4 და 1-3 კლასები) სწავლების თავისებურებები, როგორიცაა თემების შესაბამისობა, რესურსების თანხვედრა და ა. შ.
სპორტი	სამივე საფეხურის კურიკულუმები დაფუძნებულია ესგ ს და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის ტრანსფერზე. გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. **ინდიკატორი შეესაბამება**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების ოთხივე საგნის (მე და საზოგადოება, ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება) კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი თავისებურებები. მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად სასწავლო წლის მანძილზე ხდება კურიკულუმების დანერგვა. ჩანს, რომ სწავლების პროცესში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, სწორადაა მოქმედი ესგ-ს სტანდარტის შესაბამისად განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები შეესაბამება დასამუშავებელი თემის ფარგლებს. ყველა თემის შესწავლისას მუშავდება საგნისთვის განკუთვნილი ყველა სამიზნე ცნება გარკვეული მოცულობით, რასაც უზრუნველყოფს შუალედური მიზნების სახით შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების შესრულება სავალდებულო თემების შესაბამისი საკითხების დამუშავებით. სკოლაში 2-4 და 1-3 კლას-კომპექტებია შექმნილი. თუმცა, ასეთი დაგეგმვა კურიკულუმებით არაა განსაზღვრული. ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმის სტნადარტის მიხედვით განსაზღვრული თემები სრულად არაა წარმოდგენილი და ამიტომ შესაბამისი საკითხები გადანაწიებულია წარმოდგენილ ოთხ თემაში. **ინდიკატორი შესაბამება** **რჩევა:** სკოლაში არის კლას-კომპლექტები. 1-3 და 2-4 კლასებში. სასურველია, კურიკულუმები ისე იყოს დაგეგმილი, რომ გათვალისწინებული იყოს კლას-კომპლექტებში სწავლების

	თავისებურებები, როგორიცაა თემების შესაბამისობა, საკითხების და რესურსების თანხვედრა და სხვა.

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი საფეხური:** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას, ცალსახად გამოიკვათა რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. შესაბამისად, წარმოდგენილი კურიკულუმების ჩარჩო /გეგმა მიემართება საგნობრივი სტანდარტის მისაღწევი შედეგების მიღწევისკენ, ასევე კომპლექსური დავალებების პირობები, საკითხები, რესურსები, დამატებითი რესურსები ხელს შეუწყობს /უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,შემოქმედებითობა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მოქალაქეობა. **საბაზო საფეხური:** სკოლის კურიკულუმი სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან. კურიკულუმი უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტების განხორციელებას და სასწავლო პროცესის ორგანიზებას ისე, რომ მოსწავლეებმა ეტაპობრივად აითვისონ აუცილებელი ცოდნა, განივითარონ პრაქტიკული უნარები და ჩამოუყალიბდეთ სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება **საშუალო საფეხური:** სკოლის კურიკულუმი სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან. კურიკულუმი უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტების განხორციელებას და სასწავლო პროცესის ორგანიზებას ისე, რომ მოსწავლეებმა ეტაპობრივად აითვისონ აუცილებელი ცოდნა, განივითარონ პრაქტიკული უნარები და ჩამოუყალიბდეთ სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის კურიკულუმი შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესრულებას და მიმართულია მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებისკენ. კურიკულუმი ქმნის პირობებს სასწავლო შედეგების მიღწევისა და მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება**
უცხოური ენები	სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ უცხოური ენების კურიკულუმებების ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. თემებში კლასების მიხედვით განსაზღვრულია სამიზნე ცნებების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შედეგები, რაც მოსწავლეებში აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს უწყობს მათში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოყენებულია უნივერსალური დიზაინი და დიფერენცირებული მიდგომა, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და არჩეულია ნაცნობი კონტექსტების შემცველი თემები. თითოეული მოსწავლე აღქმულია,როგორც ინდივიდი თავისი უნარებითა და შესაძლებლობებით. **ინდიკატორი შეესაბამება**
სახელმწიფო ენა	სკოლის სამივე საფეხურზე მოქმედი კურიკულუმები წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში მოცემული შემოქმედებითი დავალების იდეით ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. სახელმწიფო ენის კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს, კონკრეტულად თუ რომელ გრძელვადიან მიზნებს მიემართება მათ მიერ წარმოდგენილი დავალებები სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი შეესაბამება**

მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური**: მათემატიკის კათედრა იყენებს ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამიზნე ცნებებს: მათემატიკურ მოდელს, კანონზომიერებას და ლოგიკას. **საბაზო საფეხური**: მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამიზნე ცნებებს: მათემატიკურ მოდელს, კანონზომიერებას და ლოგიკას **საშუალო საფეხური:** მათემატიკის კათედრა იყენებს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას კურიკულუმის დაგეგმვისას და ის, ესგ-ს შესაბამისად, მიემართება მათემატიკის სამიზნე ცნებებს: მათემატიკურ მოდელს, კანონზომიერებას და ლოგიკას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და საგნობრივი საფეხურეობრივი სტანდარტების მოთხოვნის შესაბამისად. ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, სამიზნე ცნებებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება იმ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა. მოსწავლეებს ეძლევათ ისეთი ტიპის დავალება სადაც პროდუქტია შესაქმნელი, ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე. **ინდიკატორი შეესაბამება**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის. შედგენილი დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები. **ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი საფეხური:** სასწავლო კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილია ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსების არჩევანს. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იმავე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი. პროდუქტის წარდგენის ფორმის არჩევის საშუალებას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მზაობის და მათი ინტერესის სფეროს შესაბამისი აქტივობები **საბაზო საფეხური:** სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო მასალები, ვიზუალური და ელექტრონული რესურსები, სასწავლო პრეზენტაციები და პრაქტიკული დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ეფექტურ სწავლას. **საშუალო საფეხური:** სკოლის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები, უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებთან. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, როგორიცაა სახელმძღვანელოები, დამატებითი სასწავლო მასალები, ვიზუალური და ელექტრონული რესურსები, სასწავლო პრეზენტაციები და პრაქტიკული დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და ეფექტურ სწავლას. **საბაზო და საშუალო საფეხურზე ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმებით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსები, შეესაბამება სასწავლო მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ეფექტიან ორგანიზებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსებისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს. უცხოური ენების კათედრის წევრებს მიეცათ **რჩევა**, კურიკულუმებში რესურსების სვეტში მიუთითონ ყველა დამატებითი რესურსი, რომელსაც იყენებენ სასწავლო პროცესში, ამასთან, ყველა დანარჩენი, წიგნების მსგავსად, ვალიდირებულ იქნეს უცხოური ენების კათედრის მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება**
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმებში სასწავლო რესურსად განსაზღვრულია სახელმძღვანელოები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული დამხმარე ელექტრონული რესურსები (მასალები). ასევე მოცემულია სხვადასხვა მოწყობილობებით ანიმაციური, აუდიო და ვიდეო მასალების გამოყენება, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება**
სახელმწიფო ენა	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული მატერიალური რესურსი (ტიპი, რაოდენობა) უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი აჩვენებს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებას

	საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; შესაბამისი რესურსებით, ონლაინ და მატერიალური რესურსების გამოყენებით სწავლების სამივე საფეხურზე. **ინდიკატორი შეესაბამება**
მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (პირველ-მეორე კლასებში-„მე მიყვარს მათემატიკა“, მესამე-მეოთხე კლასებში - ბერიშვილის ავტორობით სულაკაურის გამოცემა, ხოლო მე-5 - მე-6 კლასებში წილოსანი, წულაიას ატორობით) და დამატებით სახელმძღვანელოებს, ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ბმულების სახით, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას **საბაზო საფეხური:** სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (მე-7 და მე-8 კლასებში ჯაფარიძე-წულაია-წილოსანის ავტორობით, მე-9 და მე-10 კლასებში-გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით) და დამატებით სახელმძღვანელოებს, ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ბმულების სახით, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **საშუალო საფეხური:** სკოლა იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს (მე-11 და მე-12 კლასებში-გოგიშვილი-ვეფხვაძის ავტორობით, გამომცემლობა „ინტელექტი“) და დამატებით სახელმძღვანელოებს, ასევე, ელექტრონულ რესურსებს, ბმულების სახით, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება**
სპორტი	კურიკულუმის შედგენისას პედაგოგს შეტანილი აქვს ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით. ასევე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგად განმავითარებელი ვარჯიშებით და ელექტრონული რესურსი ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შეესაბამება**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ხელს უწყობს მრავალმხრივ განვითარებას, შერჩეულია შედეგების მიღწევისათვის საჭირო შესაფერისი ინსტრუმენტები. **ინდიკატორი შეესაბამება**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, ინდიკატორი **შეესაბამება** **რჩევა:** სასურველია, დაწყებით საფეხურზე რესურსები გამრავალფეროვნდეს, ელ. რესურსის გამოყენებისას მიეთითოს კონკრეტული ბმულები. შესაძლოა, შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი საფეხური**: ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესი სრულად ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს,რადგან საბუნებისმეტყველო კათედრას აქვს კომპლექსური ბუნების მქონე დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, რაც აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და კონკრეტულ აქტივობებში. **საბაზო საფეხური:** სასწავლო პროცესი სკოლაში არის ინკლუზიური და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. სკოლა წარმოადგენს მცირე კონტინგენტიან საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა და შესაძლოა კლასში იყოს ერთი, ორი ან სამი მოსწავლე. აღნიშნული გარემოება ქმნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი იყოს მეტად ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული და თითოეულ მოსწავლეს მიეცეს აქტიური მონაწილეობისა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შესაძლებლობა. **საშუალო საფეხური:** სასწავლო პროცესი სკოლაში არის ინკლუზიური და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებაზე, რაც სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან. სკოლა

	წარმოადგენს მცირე კონტინგენტიან საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა მცირეა და შესაძლოა კლასში იყოს ერთი, ორი ან სამი მოსწავლე. აღნიშნული გარემოება ქმნის შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესი იყოს მეტად ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული და თითოეულ მოსწავლეს მიეცეს აქტიური მონაწილეობისა და საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის შესაძლებლობა. **ინდიკატორი შეესაბამება**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე, ინკლუზიურია და უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას. სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აღნიშნული მიდგომები ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. ინტერვიუს დროს უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობების და სწავლის პოტენციალის გათვალისწინების აუცილებლობაზე. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, მასწავლებლები თითოეულ მოსწავლეს განიხილავენ, როგორც უნიკალურს თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, სწავლის სტილით მოტივაციითა და პირადი ინტერესებით (შეთავაზებულია როგორც ფოტო და ვიდეო რესურსები ასევე მოსასმენი სავარჯიშოები), ისგ ნიმუში. **ინდიკატორი შეესაბამება**
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურის კურიკულუმში იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზანზე ორიენტაცია და ფუნქციური უნარების განვითარება (შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება, კოლაბორაცია და ა.შ, რაც. კომპლექსური ტიპის შემოქმედებით დავალებებში მუშავდება, სწორედ მასზეა დაფუძნებული სასწავლო პროცესი ესთეტიკის კათედრის მიერ მოწოდებულ საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი შეესაბამება** **რჩევა :**

	-სასურველია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საშულო საფეხურის კურიკულიმში - (პროექტული სწავლება) გამოკვეთილი იყოს ესგ-ით განსაზღვრული მიზნები და შედეგები.
სახელმწიფო ენა	სკოლის მესვეურთა და საგნობრივი კათედრის მიერ დაგეგმილი და წარმართული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს სამივე საფეხურზე. საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, რომელშიც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დიფერენცირებული სწავლის მიდგომებს. სასკოლო–სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს შეიმუშავოს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. სახელმწიფო ენის კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტმაგალითებისა და შემოქმედებითი დავალების იდეების დონეზე. **ინდიკატორი შეესაბამება**
მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს და მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის იყენებენ დიფერენცირების ინსტრუმენტს-ქვიზებს, პირველკლასელი სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **საბაზო საფეხური:** სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს და მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის იყენებენ დიფერენცირების ინსტრუმენტს-ქვიზებს. **საშუალო საფეხური:** სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს და მეთოდებს, რომლებიც მათ ეხმარებათ სწავლის პროცესი იყოს ინკლუზიური, დიფერენცირებისათვის იყენებენ დიფერენცირების ინსტრუმენტს-ქვიზებს. **ინდიკატორი შეესაბამება**

სპორტი	საუბრისას აღმოჩნდა რომ პედაგოგი ცდილობს სასწავლო პროცესები მოარგოს მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს. საგანში ჰყავთ სსსმ მოსწავლეც, რომლისთვისაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იყო. პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს სკოლის განხორციელებული აქტივობები , სადაც ნათლად ჩანს ამ ბავშვების აქტიური ჩათულობა, სხვადასხვა მიმართულებით სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი შეესაბამება**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში იკვეთება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებელი ცდილობს გამოიყენოს დიფერენცირებული სწავლების ელემენტები. მოსწავლეებს სთავაზობს მის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებული დავალებებს, ყოველთვის ახდენს დავალების მოდიფიცირებას და ადაპტირებას საჭიროებიდან გამომდინარე და მათ შესასრულებლად აძლევს შესაბამისის დროს. **ინდიკატორი შეესბამება**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინკლუზიური განათლების კუთხით სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ პირველი კლასის მოსწავლის ისგ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. მათ აქვთ შესაძლებლობა წარმატებით განახორციელონ სასწავლო პროცესი ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. კლასები იმდენად მცირერიცხოვანია,(1, ან 2 მოსწავლეა) რომ ფაქტობრივად ინდივიდუალურად მუშაობენ თითოეულ მოსწავლესთან. **ინდიკატორი შეესაბამება**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი საფეხური:** I -VI კლასების ბუნებისმეტყველების პედაგოგებს წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შექმნილი აქვთ მე- 5 კლასის მეორე სემესტრიდან და მეექვსე კლასისთვის განმსაზღვრელი და I-VI კლასებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ბუნებისმეტყველების სხვადასხვა კლასებში, განმსაზღვრელი შეფასება

	სტანდარტის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით თვითოეულ სამიზნე ცნებაში, ხოლო განმავითარებელი შეფასება სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავებისთვის მოსწავლეთა მოლოდინებზე დაყრდნობით აქვთ შედგენილი. შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და შემაჯამებლის ანალიზები. **საბაზო საფეხური:** საბაზო საფეხურზე შეფასება ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმებით. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება სასწავლო პროცესში მოსწავლის პროგრესის მონიტორინგისთვის, უკუკავშირის მიწოდებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება კონკრეტული თემის, მოდულის ან სასწავლო ეტაპის დასრულებისას მოსწავლის მიღწეული შედეგების დასადგენად. მცირე კონტინგენტიანი კლასების პირობებში, სადაც შესაძლოა კლასში იყოს ერთი, ორი ან სამი მოსწავლე, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა უფრო დეტალურად და სისტემურად დააკვირდეს თითოეული მოსწავლის სწავლების პროცესს. ეს ხელს უწყობს ინდივიდუალურ უკუკავშირს, მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერის დაგეგმვას. **საშუალო საფეხური:** საშუალო საფეხურზე შეფასება ხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმებით. განმავითარებელი შეფასება გამოიყენება სასწავლო პროცესში მოსწავლის პროგრესის მონიტორინგისთვის, უკუკავშირის მიწოდებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება კონკრეტული თემის, მოდულის ან სასწავლო ეტაპის დასრულებისას მოსწავლის მიღწეული შედეგების დასადგენად. მცირე კონტინგენტიანი კლასების პირობებში, სადაც შესაძლოა კლასში იყოს ერთი, ორი ან სამი მოსწავლე, მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა უფრო დეტალურად და სისტემურად დააკვირდეს თითოეული მოსწავლის სწავლების პროცესს. ეს ხელს უწყობს ინდივიდუალურ უკუკავშირს, მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერის დაგეგმვას. **ინდიკატორი შეესაბამება**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მოქმედი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის განსაზღვრასა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე. შეფასების პროცესი არის გამჭვირვალე და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება**
უცხოური ენები	სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმს, ამის დასადასტურებლად უცხოური ენის მასწავლებლებმა წარმოადგინეს სამიზნე ცნებებზე ორიენტირებული შეფასების სქემები. გასაუბრებისას მათ აღნიშნეს, რომ შემოქმედებითი დავალების შესრულების შემდგომ მოსწავლის თვითრეფლექსია მას საშუალებას აძლევს გაიაზროს რა არის მისი ძლიერი და სუსტი მხარე, რაშიც მასწავლებლის განმავითრებელი შეფასების გარდა, მოსწავლეს ეხმარება თვითშეფასების სქემები, რომელთა ნიმუშები წარმოდგენილია IX კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში. **ინდიკატორი შეესბამება**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა სასწავლო პროცესის ორგანულ ნაწილადაა მოაზრებული, რომლის მეშვეობითაც მოსწავლესთან ეფექტური უკუკავშირი მყარდება, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასებაც, ასევე განმავითარებელი შეფასებისას ეყრდნობიან საკმაოდ კონსტრუქტიულ პრინციპებს. **ინდიკატორი შეესაბამება.** **რჩევა** - სასურველია კარგად დამუშავდეს დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ჩანდეს ორიენტაცია კონკრეტული საფეხურის (დაწყებითი) ცნებებსა და ქვეცნებებზე. ეხება მუსიკისა დახელოვნების კურიკულუმებს).
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სწავლებისას. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის კურიკულუმებში კათედრის მიერ განსაზღვრულია დავალებები, შეფასების რუბრიკებით, რომლებიც პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

	საგნობრივი კურიკულუმები გვიჩვენებს, რომ აქცენტი კეთდება სწავლის სწავლასა და მეტაკოგნიტური უნარების ხელშეწყობაზე. ინტერვიუს დროს პედაგოგების მიერ აღინიშნა, რომ .სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს აგრეთვე მათ მიერ დაგეგმილი დავალებებით სწავლა-სწავლებასა და დავალების პირობის სრულყოფაზე - ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა რუბრიკებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, ასევე წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები. **საბაზო საფეხური:** წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა რუბრიკებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, ასევე წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები. **საშუალო საფეხური:** წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა რუბრიკებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, თუმცა შეფასებები ზოგადი ხასიათისაა და აკლია კონკრეტიკა და კონტექსტი. ასევე, წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება.** **რჩევა საშუალო საფეხური:** სასურველია, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები იყოს კონკრეტული ხასიათის, მაგალითად: ფრაზა „კარგად ფლობს საკითხს“ შეიცვალოს ფრაზით: „კარგად ამარტივებს ლოგარითმულ გამოსახულებებს“ ან „სწორად აგებს მაჩვენებლიანი ფუნქციის გრაფიკს“ და სხვა.

სპორტი	სკოლამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა შეფასების რუბრიკები. ყველა მათგანი ემყარება საგნობრივ სტანდარტს. **ინდიკატორი შეესბამება.** **რჩევა :** სასურველია საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასების რუბრიკები შეადგინონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემის მიხედვით.
ტექნოლოგიები	სკოლას წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც ადასტურებს, რომ შეფასების პროცესი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებზე. შესაბამისად სწავლება და შეფასება ერთმანეთისგან განუყოფელ ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სისტემა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, განვითარების პრინციპს და მიზნად ისახავს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, პიროვნული ზრდის ხელშეწყობას და მოსწავლის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას. წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა რუბრიკებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, ასევე წარმოდგენილია სოლო ტაქსონომიით შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება.** **რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ საგნობრივ სტანდარტებს და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
საგნობრივი კურიკულუმები;
შეფასების რუბრიკები
კათედრის სხდომის ოქმი;
კომპლექსური დავალების დაგეგმვა-განხორციელების ამსახველი დანართები;
მოსწავლეთა ნამუშევრები.
კათედრის შემაჯამებელი ოქმიები
საგნობრივი სადიაგნოსტიკო ტესტები
დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**დაწყებითი საფეხური:** საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. კურიკულუმის შესაბამისად დაგეგმილი სწავლება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულობას და მიზნობრივობას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა სასკოლო კურიკულუმის საფუძველზე ქმნის ერთიან და სისტემურ საგანმანათლებლო გარემოს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო საქმიანობის თანმიმდევრულობას, სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრას და სასწავლო შედეგების მიღწევას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. კურიკულუმზე დაფუძნებული დაგეგმვა ასევე ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას. შედეგად, სასწავლო პროცესი ხდება უფრო მიზანმიმართული, სტრუქტურირებული და ორიენტირებული მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე. **საბაზო საფეხური:** საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. კურიკულუმის შესაბამისად დაგეგმილი სწავლება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულობას და მიზნობრივობას.

	სასწავლო პროცესის დაგეგმვა სასკოლო კურიკულუმის საფუძველზე ქმნის ერთიან და სისტემურ საგანმანათლებლო გარემოს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო საქმიანობის თანმიმდევრულობას, სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრას და სასწავლო შედეგების მიღწევას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. კურიკულუმზე დაფუძნებული დაგეგმვა ასევე ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას. შედეგად, სასწავლო პროცესი ხდება უფრო მიზანმიმართული, სტრუქტურირებული და ორიენტირებული მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე. **საშუალო საფეხური:** საკლასო სივრცე, გარემო, რესურსები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი კურიკულუმის ჩარჩო, კომპლექსური დავალებები, აქტივობები და მეთოდები იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ცოდნის გააზრებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. კურიკულუმის შესაბამისად დაგეგმილი სწავლება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულობას და მიზნობრივობას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა სასკოლო კურიკულუმის საფუძველზე ქმნის ერთიან და სისტემურ საგანმანათლებლო გარემოს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო საქმიანობის თანმიმდევრულობას, სასწავლო მიზნების სწორად განსაზღვრას და სასწავლო შედეგების მიღწევას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. კურიკულუმზე დაფუძნებული დაგეგმვა ასევე ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიან მართვას, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებას. შედეგად, სასწავლო პროცესი ხდება უფრო მიზანმიმართული, სტრუქტურირებული და ორიენტირებული მოსწავლეთა აკადემიური და პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზე. **ინდიკატორი შეესაბამება.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა ეფუძნება სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას ეროვნული სასწავლო გეგმის

	მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას. **ინდიკატორი შეესაბამება.**
უცხოური ენები	სსიპ - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ორბეთის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ხორციელდება უცხოური ენების კათედრაზე შემუშავებული უცხოური ენების საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. სწავლა-სწავლების პროცესში გააზრებულია კავშირი სამიზნე ცნებას, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს ერთი მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმები, მეორე მხრივ მასწავლებლებთან გასუბრებისას გამოკვეთილი სწორი აქცენტები და სასწავლო პროცესის გააზრებული ხედვა. **ინდიკატორი შეესაბამება.**
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლების მიერ ესგ-თან შესაბამისობაში გაწერილ საგნობრივ კურიკულუმებში მეტწილად გააზრებულია სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს შორის. ამას ადასტურებს ჩემ მიერ გაანალიზებული ესთეტიკის კათედრის ორი მიმართულების საგნობრივი კურიკულუმები. გათვალისწინებულია ცნებათა იერარქია დამუშავებული კონკრეტულ საკითხებთან კონტექსტში. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სახელმწიფო ენა	სკოლის დოკუმენტაციის ანალიზისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი სკოლის სამივე საფეხურზე დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სახელმწიფო ენის სამივე საფეხურის სასკოლო კურიკულუმში უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება. საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით თემების ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები, მკაფიოდ ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით კათედრას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორი შეესაბამება.**

მათემატიკა	**დაწყებითი საფეხური:** სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე. ამის დასტურად, კათედრამ წარმოადგინა რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, იმ შემოქმედებითი დავალების ნიმუშები, რომელთა განხორციელებაც კურიკულუმების მიხედვითაა დაგეგმილი. **საბაზო საფეხური:**სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე. ამის დასტურად, კათედრამ წარმოადგინა რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, მასწავლებლებმა წარმოადგინეს იმ შემოქმედებითი დავალების ნიმუშები, რომელთა განხორციელებაც კურიკულუმების მიხედვითაა დაგეგმილი. **საშუალო საფეხური:** სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, მასწავლებლებმა იმუშავეს დაგეგმილი კომპლექსური დავალებების შესრულებაზე. ამის დასტურად, კათედრამ წარმოადგინა რესურსები, რომელიც განაპირობებს დაგეგმილის მიხედვით სასწავლო პროცესის განხორციელებას. ასევე, მასწავლებლებმა წარმოადგინეს იმ შემოქმედებითი დავალების ნიმუშები, რომელთა განხორციელებაც კურიკულუმების მიხედვითაა დაგეგმილი. **ინდიკატორი შეესაბამება.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში (სამივე საფეხურისათვის), პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის წარმართვისას, სკოლის ბაზაზე არსებული, ინფრასტრუქტურის მიხედვით. პედაგოგები ცდილობენ სასწავლო პროცესის წახალისებას და კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), არაფორმალური განათლების მხრივ აქტივობებში ჩართონ მოსწავლეები. სასწავლო პროცესი გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე - მოსწავლეების საფეხურის შესაბამის შედეგზე გასაყვანად. **ინდიკატორი შეესაბამება.**

ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი მიდინარეობს სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, სადაც ყველა აქტივობა, გაკვეთილი და შეფასება დაგეგმილია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის მოთხოვნების შესრულება და მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარება. **ინდიკატორი შეესაბამება.**
